შინაური საქმეები

№ 32

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი სამ მან.

წელიწადი მეოთხე.

ყოველ-კვირეული გაზეთი

კვირა, 9 ოკტომბერი 1911 წელი

ყოველ-კვირეულ გაზეთ

„შინაური საქმეებიდან“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (სასტუმროთა-ბლი — კუბანოვის შენობაში № 17). და ოთხლისში ეკმოვ. ბ. ბ. ბ. ნომერი, ბბ. ხელის მოწერლებს ეთხოვენ. გამოდის ყოველ თვეში ოთხ ერთად გამოგზავნონ.

ნომერი ფასი: | | ნახ. წლიან: | | 2 მანეთი. | | მასალიდან წლის ბოლოამდის 3 მანეთი. | | 2 მანეთი. | | 10 შაური.

ადგილი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ redakcia.

შინაარსი: 1) დაკარგული დიდება; 2) სად არის ხსნა?— კ. გძელისა; 3) წაღმა-უკუღმა—კ. წუთისოფლელისა; 4) კვირიდამ-კვირამდე; 5) მცირე შენიშვნა სამღვდელოების გაძლიერებულ ჯამაგირების შესახებ—რედ.-ისა; 6) კრიტიკული შენიშვნები—ხომლელისა; 7) წერილები რედაქციის მიმართ ა) მღ. გ. ტყემალაძისა ბ) დანიელ კოპახიძისა.

დაკარგული დიდება.

(გაგრძელება *).

არის გადმოცემა, რომ იმ დროს, როცა სამეფონეთის მეფემ თეოფილემ (827—842) სასტიკი დევნა აღძრა ხატთ თაყვანისმცემლების წინააღმდეგ, მცირე აზიის ქალაქ ნიკეაში სცხოვრობდა ერთი კეთილმორწმუნე ქვრივი დედაკაცი, ტომით მეგრელი, თავის ერთად ერთი ვაჟით. მას ესვენა ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც დიდ პატივს სცემდა.

ერთმა ხატის მებრძოლთაგანმა გაიგო თუ არა, ქვრივი დედაკაცი ხატს მალავს სახლშია, შეუვარდა, იძრო მახვილი და სახეში დასჭრა ღვთისმშობელი. ქრილობიდამ სისხლმა იფეთქა და მკერდზე მიესხა მეფის მხედარს. ასეთი სასწაულით თავზარდაცებული მხედარი მაისვე

*) იხ. „შინ. საქ.“ № 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიქცა. მტარვალ ფანატიკოსებს რომ შეურაცხება არ მიეყენებიათ ხატისთვის, ქვრივმა შვილი მაკედონიაში გაგზავნა, ხოლო ხატი ზღვაში ჩაუშვა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ხატი გამოჩნდა წმ. ათონის მთასთან, რომლის (ხატის) მოსვლა ათონელებმა ციდგან გადმოსული ნათლით შეიტყვეს. ეს ხატი, რომლის მეოხებით ბევრი სასწაული მოხდა, ცნობილია ივერიის კარის ღვთისმშობლის სახელით, რადგან ივერიის მონასტრის პირველმა მაშენებლებმა იოანემ და თორნიკემ ეს ხატი დასვეს ნეს საგანგებოთ აშენებულ მაგარ კოშკში ჭიშკრის თავზე და მის მფარველობას შეავედრეს თავის სავანე. მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში სამცხის და ქაჯეთის მატონებმა ქაიხოსრომ და სხვებმა განაახლეს სავანე; ხოლო იმავე ქაიხოსრომ,—როგორც იტყვის მატიანე,—მოაჭედინა ეს ხატი და აშოთან მუხრანბატონმა კარიბჭესთან აგო პატარა გულბანდიანი ეკლესია, რომელშიაც მოთავსებულია კარის ღვთისმშობლის ხატი.

როგორც ბარსკი აგვიწერს, ივერიის ღვთისმშობლის სურათი თავის დიდრონი თვალებით მეტის მეტი ლამაზია, ოდესაღა ჭრილობა აჩნია, მოქმედია დაოქვეული ცერცხლით და შემკული ძვირფასი ფერებით და ოქროთ ფულებით, რომლებიც უჩუქნია სხვადასხვა ქრისტიანე მეფეებს; ხატის წინ ორმოცი კანდელი ლაპარაკობს ეფუძროლად; მას ჰყავს მიჩენილი გუნსაკუთრებით ერთი ბერი, რომელიც ასოფთავებს ეკლესიას, ანთებს კანდლებს და ასოლულებს პარაკლისს.

როგორც ბ. ნატროშვილი ამტკიცებს **) ეს წმ. ხატი გამოჩენილა 830 წელს ქართველთა მონასტრის წინ ზღვაზე და წინამძღვრის პავლეს თხოვნით გამოუსვენებია გაბრიელ განდგელს—ქართველს, ხოლო ხატის ზღვაში ჩაშვების ჟამენოება უამბნია ამათთვის თვით იმ ზეგრელ ქვრივი ქალის შვილს, რომელიც ბერად შემდგარა ქართველთა მონასტერში.

ივერიის კარის ღვთისმშობლის ხატი ცნობილია თვის სასწაულ-მოქმედებით. იგი დიდ-ძალ მლოცველებს იზიდავდა და ახლაც ბევრ სხვადასხვა კუთხიდან. მხოლოდ, საბუნებაროთ, არა საქართველოდან, სადაც ზეცოლ განათლებამ გული გაუცივა ყველას სარწმუნოებისადმი, სადაც ყველა ხატისა და ჯვარის ხსენებაზე ჩვენ შინ გაზრდილ სწავლულებს ირონიული ღიმილი მოსდისთ; მაშინ როდესაც რუსეთში ხსენებულ ხატის პირსაც კი განუსაზღვრელი პატივისცემითა და კოცძლვა-შიშით ეპყრობიან, მაგრამ ამაზე შემდეგ.

შემდეგი იქნება.

სად არის ხსნა?

შემდეგი. *)

ახლა განვიხილოთ რა უნდა შეადგენდეს მღვდლის უფლება-უპირატესობას და ამის მიხედვით გავითვალისწინოთ ღირსება-ნაკლულოვანება მღვდლისა. ჩვენ ვიცით რომ მღვდელი უნდა იყოს ა) მასწავლებელი—მოძღვარი ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით, ბ) მღვდელ-მოქმედობდეს და გ) მწყსიდეს სამწყსოს დაწერილებით თუ ჩამოვთვლოთ მღვდელი ვალდებულია: იღვწოდეს მორწმუნეთათვის; მწყსიდეს ეკლესიისა; განამტკიცებდეს ქრისტეანულ სარწმუნოებასა; ილოცავდეს მზრუნველთათვის; დამოძღვრიდეს მათ; ნუგეშსცემდეს მორწმუნეთა; მოწყალეებას გასცემდეს, სდარაჯობდეს ეკლესიასა. არა ძალით, არამედ ჩაგონებით მოანანებებდეს ცოდვას ცოდვილთ; სამწყსო უნდა ხშირად მიმოვლოს; სამწყსოს თავი უნდა შეაყვაროს არა ფარისეველობითა და პატივისცემითა; მხილების დროს კეთილგონიერებას უნდა იჩენდეს, სიფრთხილით იქცეოდეს; მწყემსი არ უნდა სტოვებდეს უყურადღებოდ ხორციელებრივ საჭიროებასა რწმუნებული მისდამი სამწყსოისა; მწყემსი მკურნალია სულიერი და ხორციელი; მწყემსია მგალითი თვისი სამ-

**) Натроевъ Ивер. мон. на Аѳонѣ стр. 104.

*) იხ. „შინ. საქმ." № 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყსოთვის. წმ. იოანე ოქროპირს მშვენიერად და დაწვრილებით აქვს აღწერილი მღვდლის მოვალეობანი თვის თხზულებაში „მღვდლობაზე“. ცნობილია, რომ მან არ მიიღო მღვდლობა, როდესაც აირჩიეს ამ თანამდებობაზე არა პატივმოყვარეობის გამო, არამედ მისთვის, რომ უღირსად სთვლიდა თავს ეტვირთა ესრეთი ძნელი, დიდი და პასუხ-საგებელი თანამდებობა როგორიც იყო მღვდლობა. მღვდელს ხშირად მოელის მრავალგვარი განსაცდელი და იწროებანი და აქაა საჭირო მისთვის თავის დაჭერა, კეთილ-გონიერება და სიმტკიცე. რამდენი სწავლა, გულს მოდგინება, მჭევრმეტყველობა მოითხოვება მღვდლისაგან. რამდენი შრომა სჭირია მღვდელს ქადაგების შედგენისათვის, მღვდელს ვინ იცის რამდენს ბრალდებას არ მოახვევენ თავზე, რამდენი შური მოელის მას, რა საშიშია მისთვის რომ გაიტაცოს ქება დიდება და ქედმაღლობამ და ვინ იცის რამდენი პასუხი უნდა აგოს მან როგორც თავის, ისე სხვის მაგიერ. აი საზოგადო შინაარსი ამ წიგნისა.

ამ ზემორე ჩამოთვლილი პირობებისამებრ უნდა გაიზომოს მღვდლის პიროვნება. თუ აქ ჩამოთვლილ ღირსებას ყველას თუ არა, ზოგიერთს მაინც, არ ეცდება მღვდელი მიიღოს, მაშინ იგი შორსაა თვისი პირდაპირი მოწოდება—დანიშნულებებთან და სარგებლობის მაგიერ ზარალს მოუტანს როგორც თავის თავს, ისე მორწმუნეთ. თავის თავს მით, რომ თითით საჩვენებელი იქმნება ყველასათვის თვისი მოვალეობის აუსრულებლობით და სხვათ ამისთვის, რომ სულიერად დაავადმყოფდება მისი შემხედვარე ერი და ავადმყოფს ხომ მკურნალი სჭირია და ხანდისხან არა ერთი და ორი, ისიც საუკეთესო და ხანგრძლივი მკურნალობა.

მაშასადამე „მკურნალმა ჯერ თავი თვისი უნდა განიკურნოს“ და აი ამ პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდენ, როდესაც ვამბობთ ერთმანეთის მხილებასა და გასწორებაზე. ყოველივე წამხდარს საქმეს თავისი შესაფერი საშუალებას გამოუძებნიან, შესაძლებელია ურემი ბევრჯელ გადაბრუნდეს. მაგრამ გადაბრუნების შემდეგ ხომ, მაინც გამოჩნდება გზა და მის შემდეგ ხომ შეძლება ეძლევა ადამიანს სწორე გზით იაროს. ,,ყოველგვარი აღზრდა შესაძლებელიაო,‘‘ ამბობს რუსის პედაგოგი ბ. უშინსკი, „კაცი იქნება იგი, თუ ცხოველი, მცენარე თუ ისტორიული საზოგადოებანი, მოდგმა თუ ხალხი. თუ რომელიმე მხარეს მათისას განვავითარებთ შესაფერისის საკვებით, ნივთიერით თუ სულიერით ეს ნიშნავს აღზრდასა“. უწინარეს ყოვლისა საჭიროა თავის თავის აღზრდა. ნუ ვინ გაკადნიერდება და იტყვის მე უკვე აღზრდილ-გაწრთვნილი ვარ და ახლა აღარა მსჭირიაო, ეს თავის მოტყუება იქნება და სხვა არაფერი. თუ რამე გვაკლია და ვამჩნევთ ამ ნაკლულევანებასა ისევ ჩვენ უწამლოთ ჩვენს თავს, ჩავიხედოთ სულის სარკეში და იქ დავინახავთ ჩვენ მრუდე და სწორ სახეს, გასასწორებელი გავასწოროთ. განსაღება სულიერი იქ უფრო საჭიროა, სადაც მეტი შნოიანობა და სილამაზათეა მიუცილებელი. შნო და სილამაზათე მღვდელს ხომ მიუცილებლად უნდა თან ახლდეს თუ უნდა გახდეს სანთლად და მარილ ქვეყნისა.

სამღვდელოებამ ხმა უნდა აიმაღლოს პირველ ყოვლისა და სამღვდელო და საეკლესიო ხარისხის მიმღები კანდიდატებისათვის უსათუოდ დადგინდეს ერთი ცენზი, ე. ი. ამ კანდიდატებს მიღებული უნდა ქონდეს სალვთის-მეტყველო განათლება. ასეთს განათლებას კი ღებულობენ სემინარია-აკადემიებიდან. განსვენებული და ნეტარ-ხსენებული გაბრიელ ეპისკოპოსი რომ იტყვიან „დიოგენის ფანრით“ დაეძებდა სემინარიელებს, მათთვის ადგილებს ამზადებდა და სანამ არ გაათავებდენ სასწავლებლებს არავის მისცემდა; მას სულით და გულით სურდა სემინარიელებით მოეფინა თვისი ეპარქია და იმ დროს მართლაც ბევრი წავიდა ამ ხარისხის მქონე სოფლებში. დღეს მართალია პირობები შეიცვალა, ჯერ არავინ მიდის სემინარიაში და მერმე ზოგი მეოთხე კლასიდან საერო სასწავლებლებისაკენ მიდიან სწავლის მისაღებად, და ზოგი კურს დამთავრებული შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის უნივერსიტეტებში. ამას გარდა ჩვენს ერთად ერთ სემინარიაში დღეს უცხო ტომის შვილები სწავლობენ და ჩვენ ქართველებს ცოტა ადგილები უკავიათ. აქაც უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს სემინარია მარტო ქართველებისათვისაა ჯერ და მერმეთ თუ გადარჩება ადგილები უცხო თესლის ერსაც მიიღებენ. საქმეს მოგვარიანება ყოველთვის შეიძლება, თუ გაბედვა და ენერგია გამოიჩინა კაცმა.—რასაკვირველია სემინარიიდან გამოსული მოწაფეც მაინცა და მაინც ვერ ვიტყვით, რომ ცხოვრებაში ნამდვილი მწყემსის იდეიების მატარებელი იქნებაო, ყველაფერში უნაკლული იქნება, მაგრამ რა გაეწყობა უმეტესი მაინც მათგანნი თვის მოწოდებას აღარ უღალატებენ თუ მოეწყო მათთვისაც ხელშემწყობი პირობები. ასეთს პირობეებათ ჩვენ მიჩნეული გვაქვს ნივთიერად უზრუნველ მყოფელობა მღვდლისა, მოსპობა მრევლსა და მღვდელს შორის გამწვავებული დამოკიდებულობისა მღვდელმოქმედებაში ფულის გაღებით, დრამის მიცემით და სხ,

თითქმის ყველა წოდების, ხელოვნების დასის, მიმართულების მქონე ადამიან შორის არსებობს შემაერთებელი კავშირები, ე. წ. პროფესიონალური და ჩვენს სამღვდელოებაში კი არც ერთი კავშირი არაა. ისეა დაფანტული იქით-აქეთ, რომ წელიწადი გავა ერთი-მეორეს ვერ ნახავს დღიურ ჭირ-ვარამს ვერ გაუზიარებენ, საზოგადო საქმეზე მსჯელობას ვერ იქონიებენ მღვდლები. თითქოს მისთვისაა გაჩენილი, რომ იყოს მიბმული თვის სამრევლოში და არც ერთ დღეს არ გასცილდეს მას. შეიძლება მოისურვა ბლაღოჩინმა, როდესაც მთავრობისგან გამოგზავნილი ცირკულიარები თავს მოიყრის და ან დეპუტატია ასარჩევი წელიწადში ერთხელ მოახდინოს საბლაღოჩინო კრება, მაგრამ ამ კრებაში საზოგადო საქმეზე ერთი კრინტიც არ დაიძვრის; ცირკულიარებზე ხელს მოაწერინებენ მღვდელს და დიაკონს, თუ ასარჩევია ვინმე თანამდებობის პირი აირჩევენ, ფულებს გასწერენ შესავალ-გასავლის წიგნში და მორჩა და გათავდა. ამ კრებაზე კი ბევრს რასმე გააკეთებდა კაცი თუ მოინდომებდა. კრებების გამართვის ნება ხომ ყოველთვის გვაქვს, ვისარგებლოთ ამით მაინც და ხშირად გავმართოთ. აქ შეუძლია თვითეულს მღვდელს წამოაყენოს რაიმე საკითხი—და ერთად გაირჩევა ყველას თანადასწრებით.

თუ ვინმე წევრი ჩვენთაგანნი უღალატებს თვის დანიშნულებას და მოვალეობას რაშიაც უნდა გამოიხატოს იგი ჩვენ ყველა ვალდებული ვართ გავასწოროთ იგი, ვამხილოთ და ჭეშმარიტ გზაზე დავაყენოთ. ამისათვის ჩვენის ფიქრით უმჯობესი იქნებოდა თვითეულ საბლაღოჩინოში არჩეულიყო რამდენიმე მღვდელთაგან კომისია რომელსაც მიენდობოდა მოსამართლეების როლის ასრულება უკეთუ ვინმე ჩვენი თანაძმათაგანი რამეს ჩაიდენდა ზნეობის წინააღმდეგს. ამას დაერქმევოდა პატიოსნების სასამართლო (судъ чести). იმის კომპენტენციას უნდა შეადგენდეს ყოველ მხრივ აწონდაწონა დამნაშავესი და დამნაშაობისა, გამოძევა-გამოკელევა მათი, და შემდეგ მსჯავრის დადება მათზე.

თუ ეს ზომა არ იკმარებდა დამნაშავე პირი უნდა გადაეცათ საბლაღოჩინო კრებისათვის გასამართლებლად. შესაძლებელია ამ კრებასაც ვერაფერი ზომები მიეღო, მაშინ საეპარქიო კრების წინაშე უნდა წამდგარიყო დამნაშავე და უკანასკნელი გადაწყვეტილება იქიდამ გამოვიდოდა.

იესო ქრისტემაც ხომ ასე ბრძანა; თუ შეგცოდოს შენმა ძმამ ამხილე ორ-სამ მოწმესთან, უკეთუ არ გასწორდეს იგი კრებულს მიმართე და იგი გაასწორებს მას. თუ ამ კრებულმა არ იმოქმედოს მაშინ იგი ძმა იყოს ვითარცა წარმართი და მეზვერე და განასხმიდეთ კრებულიდანაო.

შემცოდე წევრთაგანნი შეიძლება კიდევ გასამართლდეს პრესის საშუალებით. ჩვენ გულს მოდგინეთ ყურს უგდებდით მ. მ. ბარათაშვილის და ვაშაძის „შინაურ საქმეებში“ პოლემიკას და გვინდოდა და გვეგონა ნამდვილ მიუდგომელ პირუთნებელ მსჯავრს გავიგებდით. თუმცა არ დავკმაყოფილდით ამ მხრივ სრულიად, მაგრამ თვითეულს ჩვენთაგანს ხომ შეძლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ეძლევოდა თუ დაუკვირდებოდა გონების თვალით მათი დამნაშავობა გაეგო და შესაფერისი მსჯავრი დაედო. ამ ჟამად კიდევ ყურს ვუგდებთ მ. ნიკოლაძის და ფანიუკის პოლემიკასა და სულით და გულით გვინდა გავიგოთ ვინ არის დამნაშავე და ვინ მართალი ამ ორ მოპირდაპირეებში, მით უმეტეს საინტერესოა მათი პროცესი, რომ ამაში იკვანძება საზოგადო შეხედულობა, თუ რამდენად სამდროვოა ეს უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული არჩევნებითი წესი, როგორ რყვნის და ისედაც დაქვეითებულ სამღვდელოებას, უფსკრულისაკენ მიაქანებს. დიახ საჭიროა ამ ერთად ერთ ჩვენს ორგანოში „შინაურ საქმეებში" ხანდისხან ისეთი პირების ნამოქმედარი გამოაშკარავდეს გამომზეურდეს, გაიგოს კაცმა საითკენ დაიხრება სიმართლის სასწორი და ყველასათვის თვალწინ ნათლად დაიხატოს სიმართლე და სიმტყუნე ამა თუ იმ მწევრისა.

დამნაშავე პირი თუ იგი დამნაშავეთ იცნო საზოგადოებამ უნდა დაისაჯოს, სულ ერთია რაშიაც უნდა გამოიხატოს ეს სასჯელი. ჩვენ რასაკვირველია სახეში გვაქვს ზნეობრივი დასჯა, სხვა გვარად დამნაშავის დასჯა ჩვენ უფლებას აღემატება და არც არავინ მოგვცემს ამ უფლებას. თუ დამნაშავემ რამდენიმე გზის განიმეორა თვის ცოდვები, მაშინ კი უნდა გაძევდეს იგი კრებულისაგან, რომ ძირიან ფესვიანად ამოვაგდოთ ცოდვა და მომავალში აღარ გამეორდეს. ჩვენ ჩვენი აზრი გამოვთქვით ამ საგანზე და ახლა ველოდებით სხვებისაგანაც თვის შეხედულობას ამავე საგანზე.

კ. გძელი.

წალმა-უკუღმა.*)

— პა-პა-პა-ა სადუხან! შორს მიდიხარ— შორს; ფრთხილად, ცოტა ფრთხილად!...

— ჯავრი ნუ გაქვს; სადუხანამ იცის თავისი საქმე.

— ეს ვინღაა, სადუხან, რომ მოდის? ახალი მუშტარია მგონი.

— აბა სადა?

— აგერა, მოდის.

— „ძაღლი ახსენე—ჯოხი ხელში დაიჭირეო" —ვანო ვერ იცანი?

— ღმერთო ჩემო!.. რა უცნაურათ გამოცვლილა! რა მშვენიერი ყმაწვილი; რას გამიკვირდება, ეს რომ ქალს შეუყვარდეს! არც წინეთ იყო ურიგო ყმაწვილი, მაგრამ ახლა სულ გამოცვლილა.

— მა რა გგონია, ხომ გაგიგონია: „ბედი რწყილსაც გააბრწყინებსო", რო იტყვიან...

— აქა მშვიდობა.—მიაძახა ვანომ შემოსვლისათანავე.

— მშვიდობა შენი,—ერთხმად მიესალმენ ქალები.

— რავა ხარ სადუხან? რასა იქ?

— რა ვქნა შენმა მოძულებულმა!

— მოძულებულმა?

— მაშ არა თუ?

— როგორ? რაში შემატყვეთ?

— როგორ არ შეგატყვე ადამიანო; ორი თვე გადის, ერთიც არ შამოგიხედია, არ გიკითხავს: მიდგია სული თუ არა, სიმშილი მაწუხებს, თუ წყურვილი; მოყვარეს მაგრე უნდა განა? მაგრამ ეს ხომ ასეა: მე ისეთ მარსკვლავზე ვარ გაჭედილი, რომ ვისაც სულით და გულით ვემსახურები და საქმეს გოუკეთებ, ის ზურგს შემაქცევს...

— მშვიდობით სადუხან; მშვიდობით ვანო. მე წავალ და უფრო თავისუფლათ ილაპარაკეთ,—უთხრა სუსანამ და ორივეს ხელი ჩამოართვა.

— რას მიეჩქარები სუსანა? ჩვენ საიდუმლო არაფელი გვაქვს,—უთხრა ვანომ;—სანახავათ მოვედი; საქმე არაფელი მაქვს.

— მაინც მეჩქარება, კაი ხანია რომ ვარ; მშვიდობით.

— მაშ მემდური სადუხან?

— გემდური და კიდევ როგორ? შენგნით სულ სხვას მოველოდი და შენ კი მთლათ დამივიწყე.

— კარგი ახლა სადუხან, ნუ მემდური

---

*) იხ. „შინ. საქმ." № 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ მა გიცხონდეს; მეტი საყვედური არ მითხრა და, რაც ამ ჯიბიდან ამომყვება, შენი იყოს.

— შინჯე ამა ერთი.—სიცილით უთხრა სადუხანამ.

— ჰა, გაუმართვი—გაამოს.

ჰოჰოჰო! .. ბაზინა ხომ არ გაგიტეხია ჩემო ვანო ჯან?... ერთი, ორი, სამი... ხუთი... ათი... ეს ოცდა ხუთამდე კია!... საჩუქარია, თუ ბე?

— საჩუქარია სადუხან, საჩუქარი; შეინახე.

გმადლობ, გმადლობ; მეტს რას მიბრძანებ?

— ლიზამ გთხოვათ დღეს ექვს საათზე ბაღში მოსვლა.

— რა საქმე აქვს თუ იცი—სიზმარი ხო არაფელი უნახავს?

— არ ვიცი სწორეთ.

— ჰა, ყმაწვილო! მატყუებ განა?

— რავა გატყუებ სადუხან, არ გცხვენია?

— როგორ არ მატყუებ? მაგისთანებს ვერ გამომპარავ შენა: ლიზამ თუ რამე იცის, ის შენც იცი, და შენ რაც იცი, ის ლიზამაც იცის; ჩემი გაქედილი ხატის ამბავს მე მასწავლი?!

— ჰო, კაი-კაი; სულ ერთია; ასეა თუ ისე, გთხოვთ გადმოხვიდეთ.

— მელოდეთ.

— მშვიდობით სადუხან; იყავით ჯანმრთელათ.

— მშვიდობით ვანო... რასაც შენ მალავ, იმას შენი სახე ამხელს... ვიცი, ვიცი; გისურვებ საწადლის შესრულებას.

ვანომ ჩაიღიმა და გაწშორდა.

საღამოს ექვს საათზე სადუხანა ბაღში იყო. ის დაშორდა მოსეირნე საზოგადოებას და განრისხებული ეშმაკივთ მარტოდ-მარტო ჩამოჯდა ერთს კუთხეში სკამზე. ის გოტაცა ოცნებამ.—სიმდიდრე,—სიღარიბე,—ეს იყო იმ დროს მისი ოცნების საგანი. ახსოვდა მას უკიდურესი სიღარიბე; ახსოვდა, რომ ყოველისფერში გაჭირვებას ითმენდა და ეს ის დრო იყო, როცა ხელობა არაფერი ეპირა. ახლა? ახლა კი, მას მდიდარი დაეძახებოდა: ჩინებულად მორთული სახლი ედგა; საცმელ-სახურავი სულ სხვადასხვანაირი ჰქონდა, საცმელ-სასმელი მშვენიერი, სახარჯო ფული სულ მუდამ გამოჰყვებოდა და, გარდა ამისა, სიდუმლო ადგილში კარგა ძალი შენახული ფულიც ჰქონდა, რომელსაც ის საუცხოოდ უყლიდა და ზრდიდა... არ შეიძლებოდა, რომ დაუხურდავებელი ფული დაეხარჯა; ასეთი ფული რომ ჩაუვარდებოდა ხელში, ის მაშინეე გაქანებდა პატარა კოლოფიკენ, რომელიც მეტად საიდუმლო ადგილზე ჰქონდა დაცული. შენახული ფულის დათვლა არ უყვარდა და არც იცოდა რამდენი ჰქონდა... ეს კოლოფი იყო სადუხანას ნუგეში, მისი მომავალი იმედი, მისი ყველაფერი... ოცნება ის მას ყოველთვის მიეიონები ელანდებოდა, რომლის შეძენასაც ჰკიჟერობდა ის. ხშირად წარმოუდგებოდა სადუხანას დიდი შენობები, მათი პატრონობა, განთქმული სახელი, მაღალ საზოგადოებაში ტრიალი და სხვა დიდება. რომლითაც ღიერ ცხოვრებას იტკბობდა... სწორეთ ამგვარ ოცნებამ გაიტაცა სადუხანა, სანამ ლიზა მოვიდოდა და ისიც შემოვიდა ბაღში, ჩვენგან კარგად ცნობილი კავალრით.—„სადუხანა ჩვენზე ადრე მოსულა“—უთხრა ვანომ ლიზას დმ მიუთითა კიდეც მაზე. ლიზა პირდაპირ გაემართა სადუხანასკენ, რომელთაც დედა-შესლურად გაჰკოცნეს ერთი-მეორე და დაჯდენ... ვანო დაშორდა მათ.

— რავა ხარ ჩემო სადუხან—ხომ კარგავთ? მოხარული ვარ, რომ მეტათ ჩინებულათ ყოფილხარ.—უთხრა ლიზამ და მხიარული სახის გამოხატულება მიეშტერა სადუხანას.

— გმადლობ, ჩემო ქალბატონო,—ვარ ერთ-რიგათ! ძალიან მოხარული ვარ, რომ ძვირფასათ ბრძანებულხარ!... შენი პირიმე—შენი, რა მშვენიერება რამა ხარ?—თითქო მზე ამოგდის პირის სახეზეო!...

— კმარა ჩემო სადუხან! რაღას მაქებ?

— ტყუილს არ ვამბობ შენმა მზემ, რაც ხარ, იმის ნახევარსაც არ ვამბობ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაი-კაი; გინდ აგრე იყოს, სულ ერთია... მე სულ სხვა რამეზე დაგიბარე და მოვედი.

— მხიარული იყოს შენი საარული აქაც და ყოველგან.

— ოხ, ჩემო სადუხან! სად არის მხიარულება?.. განა შეიძლება ამ უკუღმართ დროში კაცი მხიარული იყოს? ზოგს ერთი აწუხებს და ზოგს მეორე და საზოგადოდ ვაება და მწუხარებაა ჩვენი ცხოვრება!

— რამ გაგიტეხა გული ჩემო თვალის სინათლეო? დიდი მწუხარება ღმერთმან გაშოროს და ცოტ-ცოტა კი არაფერია; უნდა გაუძლოთ, მეტი ღონე არ არის.

— ვინც გაუძლებს კაია, კაი დაგემართოს, მაგრამ როგორ უნდა გაუძლოთ, რომ გული ერთია და ჭირი და მწუხარება კი ათასი?..

ლიზა ჩაფიქრდა; ჩაფიქრდა სადუხანაც, მაგრამ სულ სხვადასხვა იყო მიზეზი მათი ჩაფიქრებისა. პირველი ფიქრობდა: „გავენდო თუ არა? უთხრა თუ არა ჩემი საიდუმლოებიო?“ და მეორე კი გასამრჯელოზე ზრუნავდა: „რაცხაა, მძიმე ლოდი ჩამოწოლია ამას გულზე; თუ ოქროები ჩავიჩხრიალე ქისაში— სწორეთ ეხლაო“.

— სადუხან!—დაარღვია ბოლოს სიჩუმე ლიზამ,—შემიძლია მოგენდო?

— ოჰ! სრულიად ჩემო ქალბატონო; საფლავამდე შენი ერთგული ვიქნები... მიკვირს, რომ კიდევ ნდობაზე მეუბნები! შენი საიდუმლოები, ჩემსაზე უფრო მტკიცეთ იქნება დაცული ჩემს გულში!

— კი, მაგრამ...

— მაგრამ რაა ქალბატონო? ჩემთან ყველაფერი ითქმის.. დარწმუნებული იყავი, რომ ვერაფრით ვერ გამაკვირებ: არ გამიგონია, არ მიქნია და არ ჩამიდენია, ისეთს ვერაფერს მეტყვი. ჩემთან რიდი ნუ გაქვს... იმდენი პატივისცემა მახსოვა შენგნით, რომ შენი გულისთვის თავს არ დავზოგავ... თუ შევიძელით და გაგიკეთე რამ, ხო კაი, თუ არა და საიდუმლო, საიდუმლოთ დარჩება უკუნისამდე

— კარგი, მოგენდობი როგორც გულითად ამხანაგს, გინდ როგორც დას.,. უკეთესია, როგორც დედას... მე შემძულდა ქმარი, შემძულდა მთელის არსებით; მასთან ცხოვრება ჯოჯოხეთად მიმაჩნია—მეზიზღება; არ შემიძლია, ვერ გამოვთქვამ რანაირათ მე ის თავიდან ფეხებამდე შემძულდა... რა ვქნა?... მასთან ცხოვრება ყოვლად შეუძლებლათ მიმაჩნია... იქნება იცი რამე საშვალება, რომ შემიყვარდეს... ან... ან არ ვიცი რას ვიზამ... დარწმუნდი სადუხან, რო თუ რამე საშვალება არ იქნა, უთუოთ თავი უნდა მევიკლა...

სადუხანა ჩაფიქრდა.

— უსაშველო არაფერია, ქალბატონო,—სთქვა მან ბოლოს,—თავის მოკვლა რა საჭიროა? მოიშორეთ... ადვილი რამეა.

— ოჰ! მოშორება არ მინდა... მართალია, მე შემიძლია მას მოვშორდე და დედ-მამასთან წავიდე, მაგრამ სირცხვილი?!.. ეს არ შემიძლია.

— მე რას გეუბნები ლიზა! შენ მოშორდი მეთქი კი არ მითქვამს; ის მოიშორე.

— რაფერ სადუხან?

— ადვილად... გაგზავნე ისეთს ადგილს, საიდანაც არავინ მობრუნებულა.

— მოვკლა?!

— რა ძალიან გაგიკვირდა შე დალოცვილო—თითქო მთელი ქალაქის დაქცევა ჩაკედვას გულში!... ვერ ხედავ რა დრო დადგა? დღეში ხუთ-ექვსს კლავენ.. ნუ გგონია, რომ ყველას რეოლიციისთვის კლავდენ! ზოგს, ქალები კლავენ ქმრებს, იმიტომ რომ, არ უყვართ და თავისუფლება ურჩევნიათ; ზოგს ფულისთვის კლავენ; ზოგს თავად-აზნაურობისთვის და სხვა, მაგრამ სახელი ერთი ქვია: რეოლიცია და რეოლიცია...

— ეს საშიშია სადუხან, საში... ან სადაა ახლა რევოლივცია. არ ხედავ მთავრობამ ჩეიგდო ისევ ყველაფერი ხელში?

— აბა ერთი რა საშიშია?.. გუშინწინ რომ ვაჭარი მოკლეს, რეოლიციას არ დააბრალეს?... ერთს დეიბრახუნებს პოლიცია და კვალს რომ ვერ ეიღებს, ზე გადააბრალებს რე-

ოლიციას და გთავდა; შენ თავი უფალი იქ-ნები.

— ცოდვა? კაცის მოკვლა? სისხლი?— ცოტა ფიქრის შემდეგ სთქვა ლიზამ.

— ოხ, შენ ჩემ თავო! ყველაფერი გა-გაგებია მეგონა და კიდევ ცოდვა-მადლზე მეუბნები?! რას ბრძანებ ქალბატონო, რის ცოდვა-მადლია? ვის უნახავს კაცი მადლით აშენებული და ცოდვით ამოწყვეტილი? კაცი და ქათამი სულ ერთია; ქათამი კიდევ უფრო უცოდველია კაცზე... შენ ეს მითხარი: კოლია კია ქვეყანაზე უცოდველი?

— ჰმ... მაგის ამბავს ნუ მკითხავ... მგონია მთლათ იმან შემაძულა იმისი თავი...

— მით უკეთესი. მაშ რად გამძიმს.. მერწმუნე, რომ შენ ისე, რომ ძულდე კოლიას, როგორც ის შენ შეგძულებია, ერთსაც არ იფიქრებდა, ისე მოგისპობდა სიცოცხლეს.. დეიჯერებ თუ არა, რო ეს ასე იქნებოდა?

— ეს მართალია. ხშირათ უთქვამს იმას ერთვის, რომ ცხოვრების გზაზე მამაც რომ გადაგეღობოს, არც ის უნდა დაზოგავო.

— ჰო და, ამის შემდეგ, შენც კაქვს უფლება აგრე მოიქცე.

— ნუ თუ მეტი საშვალება არაფელი იქ-ნება სადუხან? მაინც მეზარება ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

— მეტი რა იქნება? ერთი უსაშველო ზაკონი გამოუგონიათ ბერებს, რომ გიყვარს თუ არა, მაინც უნდა გიყვარდეს ქმარო!... შეყვარება ძალით არ შეიძლება; შენ ერთი კი გიყვარს და მეორეს ხო ვერ შეიყვარებ!

— ვი, ვაი ჩემ თავო! რა უსაშველო დღეს გადაეეკიდ მაგ წყეულს; დაწყევლოს ღმერთმა ის დღე!

— სულ ტყუილა იტეხ; შენმა ეზემ, გულს. რა მადლია, რომ არ გიყვარს, იმისთანა კაცთან ცხოვრება ჩაიშხამო... გაუშვი ის, შეირთე სხვა; ამაზე ადვილი რადა იქნება?

— თქვა ადვილია, მაგრამ ქნა ძნიმეა, ძნიმე სადუხან.

— თუ დაამძიმებ, ყველაფერი ძნიმე იქ-ნება და თუ...

— მაინც რაფერ უნდა მოვახერხო ეს?— გააწყვეტია სიტყვა ლიზამ.

— სულ ადვილად. მე შეგიმზადებ წამალს, მოუყარე რძეზე, მოსვამს და გათავდა.

— ეს ხომ მე დამატყდება!

— წამალს ისეთს გაგიკეთებ, რომ უცფათ აფშეკიოს ფეხი; ექიმი უცფათ არ დეიბარო... ეცადე, რომ ცოცხალს ვერ მოუსწროს და მერე შენც აბრუნე ენა აქეთ და იქით; საჩუქარი ხელათ ქონნიე და ისე ჩაეკეკეკეკეკ-ბენ საქმეს, რომ ერთი უწყეებაც არ მიიღო.

ლიზა ჩაფიქრდა. ამგვარი აზრები იმასაც გაურბენია ხოლმე გუნებაში და კიდეც ადგა ამ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ უნდოდა დასტურიც მიეღო ვინმესგან და აი, მისი ერთგული სადუხანაც ხომ ამისი მრეველი იყო... ამასთან მას წარმოუდგა, რომ თუ მაინც და მაინც საქმე გაეირდებოდა, მშობლები არ განწირავდნენ ერთად-ერთ შვილს და ფულით ყოვლისფერი შეიძლებოდა.. ამ იმედით გადასწყვიტა კიდეც.

— კარგი სადუხან,—უთხრა ლიზამ ბოლოს,—რაც იქნება—იქნეს; აიღე რაც გინდა და ვანოს ხელით გამომიგზავნე.

— დიდის სიამოვნებით, დიდას პატივისცემით... მაგრამ არ გამცე კი.

— ეგ არ შეიძლება.

— ამის იმედი მეც მაქვს... თუ გაცემაზე საქმე მიდგა. მერე არც შენ დარჩები ახლო!—ხუმრობით უთხრა სადუხანამ.

— ოხ! ეს რაფერ იქნება?—წყენით სთქვა ლიზამ.

— ღმერთმა გამოროს, დაგიცვას ამისგან შენმა ანგელოზებმა.—შიშით და კრძალვით უთხრა სადუხანამ.

კირილე წუთისოფელი.

შემდეგი იქნება.

გვირიდამ-გვირამდე.

ქუთ. ქალაქის თვითმართველობამ, როგორც იქმნა გამოიტანა ნებართვა შესახებ საკრებუ-

ლო ტაძრის გალავნისა. ეხლა, როგორც გავიგეთ ამ საგანზე შედგენილი გეგმა მის მეუფების გუბერნატორისთვის გადაუცია და შემდეგ სამშენებლო განყოფილების დამტკიცებისა შეუდგებიან საქმეს. სამუშევარი ვაჭრობით გაიცემა. კარგი იქნება ვაჭრობის დროს თავიდგან აიცილებდენ „кто больше“, „кто меньше“-ს და ისე მოიქცეოდენ, როგორც იქცევა რკინის გზის მმართველობა საქმის ვაჭრობით გაცემის დროს, ე. ი. მოსთხოვდენ ყველა დაინტერესებულ პირებს წარმოადგინონ დაბეჭდილ კონვერტში თავის უკანასკნელი ფასები—minimumi—კონვერტები დანიშნულ დღეს მოვაჭრეთა თანდასწრებით გაიხსნება და ვინც ნაკლებ ფასს თხოულობს, პირობაც მას შეეკვრის.

მისი მეუფება ყ.-დ სამღვდელო გიორგი ოკრიბის საბლაღოჩინოში სარევიზიოთ გაემგზავრა, მაგრამ ცუდი ამინდების გამო, რამდენიმე ეკლესიის დათვალიერების შემდეგ, ისევ დაბრუნდა.

კვირას 2 ოქტომბერს რეალურ გიმნაზიის შენობაში გამართულ საღამოზე დასჭრეს ამავე გიმნაზიის და კლასიკურ გიმნაზიის დირექტორები ბ. ბ. გლუშაკოვი და ლეონტიევი. ბოროტ გამზრახველი ჯერ ვერ უპოვნიათ.

ცნობილი ილიოდორე ანტექრისტეს მოლოდინში კატაკომბებს მართავს თურმე იმ აზრით, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანნი აქ დაიმალებიან ამ ავი სულისაგანო. იწვევს მუშებს და სთხოვს მორწმუნე საზოგადოებას სანოვაგით ხელი გაუწყონ ამ მუშებს. ეს მუშაობა ილიოდორეს აზრით საიდუმლოთ უნდა სწარმოებდეს, რომ ანტექრისტემ არ იცოდეს მიწას ქვეშ გასავლელ-გამოსავლელი გზები და თუ ვინიცობაა ვინმე ხელს შეუშლის ამ საიდუმლოების შენახვას, იგი ნებას აძლევს მუშებს სცემონ კისერში ხელისშემშლელებს იმა-
ვე რკინის ნიჩბით, რომლითაც მიწას თხრიან.

გაზეთები გადმოგვცემენ, ვითომ უწ. სინოდს გადაეწყვიტოს სამღვდელოებისათვის გაძლიერებული ჯამაგირი. მათი სიტყვით მღვდლებს ენიშნებათ 1200 მანეთი, მთავრებს 800, ხოლო მედავითნეებს 400 მანეთი, აკადემიელ მღვდელს 1500 მანეთი. მღვდებათ უნდა იყვნენ უთუოდ სემინარიელები, დიაკვნებად სასულიერო სამასწავლებლო სემინარიებში და მედავითნებათ სასულიერო სასწავლებლებში კურს დამთავრებულები. ამას გარდა მღვდელი თავის სამსახურისთვის ვერაფერს აიღებს მრევლთაგან. რამდენათ მართალია ეს ხმები არ ვიცით. -

---

წარსული ენკენისთვის მყოცე რიცხვებში თფილისში სასინოდო კანტორის პროკურორის მ. პოპოვის მოწვევით და თავმჯდომარეობით მოხდა კრება იმერეთის, გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიის კანცელარიების სეკრეტრებისა; კრების უმთავრესი მიზანი იყო შემუშავება ამ კანცელარიაში მოსამსახურეთა ახალი შტატებისა.

მცხეთობას, 1 ოქტომბერს სწირეს მცხეთაში არქიეპისკოპოსმა ექსარხოსმა ინოკენტიმ და დავით ალავერდელმა თფილისიდან და სოფლებიდან მოსულ და ადგილობრივ სამღვდელოების დასწრებით. გალობდა სამი გუნდი—ექსარხოსისა, სემინარიისა და მცხეთის დედათა მონასტრისა. წირვაზე ექსარხოსმა რამდენიმე ასამაღლებელი ქართულად წარმოსთქვა.

---

30 სექტემბერს ექსარხოსი ინოკენტი წაბრძანდა აბასთუმანში სანატორიის საკურთხებლად.

ამ ზაფხულს სინოდის კანტორის პროკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მ. გ. პოპოვმა მოახდინა რევიზია სოხუმის ეპარქიის კანცელარიისა.

ეპ. დავით ალავერდელი შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებს.

გიორგობისთვეში, როგორც ხმები დადის, ექსარხოსი მთავარეპისკოპოსი ინოკენტი მიბრძანდება პეტერბურგში.

საქართველოს ეპარქიაში დამსახურებული დეკანოზი მ. სოლომონ შოშიაშვილი, რომელიც 22 წელიწადი იყო ბლაღოჩინად, გადადგა სამსახურიდან; წინათ მ. დეკანოზი სოლომონი იყო თფილისის ქალაქის ეკლესიების ბლაღოჩინად და ზოგიერთი სოფლის ეკლესიებიც ებარა; 1905 წლიდან კი მისი საბლაღოჩინო შესდგებოდა მტკვრის მარცხენა ნაპირის ქართული ეკლესიებისგან.

თფილისის ფერისცვალებ ს დარიის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ანტონმა გახსნა მონასტერთან კერძო სასწავლებელი, რომელშიც ამზადებს დიაკვნებს. სწავლის ფასი 8 მანეთია.

მცირე შენიშვნა სამღვდელოების გაძლიერებულ ჯამაგირების შესახებ.

ახალ ამბებში მოყვანილი გვაქვს ცნობა სამღვდელოების ჯამაგირების გაძლიერების შესახებ, რაზედაც გადმოგვცემენ ქართული და რუსული პერიოდული გამოცემები. ეს ცნობა ეჭვი არ არის დიდ მითქმა-მოთქმას საზოგადოებაში ერთი მხრით აღაფრთოვანებს სამღვდელოებას და აღუძრავს მას საუკეთესო ნივთიერ მომავლის იმედებს, მეორე მხრით არ შეიძლება არ გამოიწვიოს ხალხში შური და უკმაყოფილება. როგორც სამღვდელოების იმედები, ისე საზოგადოების შურიც წინასწარია და ყოველ ნიადაგს მოკლებული ჯერ მაინც. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გარემოება ბევრგან უთანხმოებასაც გამოიწვევს ხალხსა და სამღვდელოებას შორის, რადგან პირველმა თუ სარწმუნოთ მიიღო ეს ხმები, ყოველ კაპეიკის მიცემაზე მღვდელს საყვედურით აავსებს, უფლება არ გაქვს ჩემგან კიდევ სასყიდელი აიღო, როცა სახელმწიფო ჯამაგირი გეძლევაო. ასეთ უსიამოვნებას საჩივრებიც ბევრი მოჰყვება და ამნაირათ მღვდლის და მრევლის ურთიერთ შორის შელახული მამაშვილური განწყობილება უფრო შეილახება და სულ ეს რატომ? მიტომ რომ გაზეთებმა შრომა არ მიცეს თავს ცოტა გარკვეულათ გადმოეცათ ცნობა. ეთქვათ, რომ ეს გაძლიერებული ჯამაგირი, თუ მართალია სინოდისგან მისი დანიშვნა, დღეს კი არ ურიგდება სამღვდელოებას, არამედ როცა მას სახელმწიფო პალატები მიიღებენ თავის სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვის კანონ-პროექტში და ხელმწიფეც დაამტკიცებს.

ამიტომ ურიგო არ იქნება, რომ იგივე გაზეთები გარკვეულ ცნობებს მიაწოდებდენ ამის შესახებ ხალხს. ჩვენის მხრით შემდეგს ვიტყვით ამ საქმის შესახებ: სამღვდელოების ჯამაგირების გაძლიერების აზრი შეიტანა სინოდში კიევის მიტროპოლიტის ფლავიანეს თავმჯდომარეობით არსებულმა კომისიამ. თუ გაზეთებისგან გავრცელებული ხმები სიმართლეს მოკლებული არ არიან, უნდა ვიფიქროთ, რომ სინოდმა ეს აზრი მოიწონა და თავის მხრით დაამზადა შუამდგომლობა სახელმწიფო სათათბიროს წინაშე. მაშასადამე ჯერ ჯამაგირების დანიშვნაზე ლაპარაკი მეტია. შეგვიძლია ვსთქვათ: სინოდმა მოიწონა ეს აზრი და შუამდგომლობა აღძრაო. მოსალოდნელია, რომ ეს შუამდგომლობა გავიდეს, მაგრამ ისიც არა ნაკლებ მოსალოდნელია, რომ არ გავიდეს, მღვდელსა და მრევლს შორის დათესილი ღვარძლი კი დარჩება და ამის მიზეზი ის გაზეთებია, რომლებმაც უხეიროთ გადმოსცეს ფაქტი, თუ ამ ფაქტს მართლა ადგილი ჰქონდა უწ. სინოდში.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკული შენიშვნები. *)

(დუტუ მეგრელის მოთხრობანი და ლექსები, 1910 წ.)

VI.

მართალი უნდა ვთქვათ, დუტუ მეგრელი, საერთოდ, ძალიან ცუდ გუნებაზეა და დანაღვლიანებული. სამშობლო მთა-ბარს განშორებული ადამიანი იგი, რომელიც მოუგლეჯიათ მოსიყვარულე, მონათესავე საზოგადოებისთვის და გადუტყორცნიათ სადღაც შორს, „უცხოთა შორის“, არარატთან, რომელსაც უდაბნო არტყია გარშემო და თვითონ პოეტს კი — „უგულობ-უგრძნობლობა“.

ასეთი პოეტი, რასაკვირველია, მარტოხელობას გრძნობს და იცრემლება:

ჩემი გული მცენარეა,
უდაბნოში ობლად რგული,
მისი ნამი ცრემლებია
და მისი მზე—სიყვარული;
ის ცხოვრებამ ტანჯვით ზარდა
და რა გასაკვირველია,
რომ ნაყოფიც მისი მხოლოდ
მწარე სევდა ნაღველია?

ასეთი „მწარე ნაღველი“ თუმცა გამოუწვევია ახლანდელი დროის გაუტანლობას და „ჟამთა სიავეს“, მაგრამ ავტორისთვის თლად სასოება მაინც არ წარუკვეთიათ და იმისს ლექსებს არა აქვს უსაზღვრო პესიმიზმის ხასიათი, რაც ბუნებად აქვთ გადაქცეული დიადი, ღრმა და ძლიერი ტალანტის მქონე პესიმისტ-მგოსნებს.

მინდა ვსთქვა რამე,—პირაკრული ვარ,
მინდა, გავინძრე,—აღარ მაქვს ძალა;
მინდა, ვკვნესოდე,—ხმა ჩამწყვეტია;
მინდა, ვსტიროდე,—ცრემლი გამშრალა..

ამ საშინელს წუთებში გამწარებული პოეტი თავის თავს ნაღვლიანად ეკითხება:

„... მაშ რა ვარ? გარდამავალის
დროისა შვილი, ბედკრული:
არც აქეთ მყოფი, არც იქით,
სიყრმითვე დაბერებული!...“

მეორე ლექსშიაც „ჩვენი თაობა“, რომელიც დაუწერია 1905 წელს, დუტუ მეგრელი „გარდამავალი დროის“ შვილს უწოდებს არჩილ ჯორჯაძესავით (იხ. თხზ. არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე) თვის თავს:

„რა ვუყოთ, რომ გარდამავალ
დროის შვილნი უძლურნი ვართ?
რა ვუყოთ, რომ მშობელ მხარეს
საიმისოთ ვერ ვარგივართ?
ჩვენ არ იყო, სწავლის ნაცვლად,
მხოლოდ სხეულს გვისუსტებდენ,
გვიწამლავდენ სულსა და გულს.
და გონებას გვიჩლუნგებდენ?...“

ეს სიტყვები საზოგადოთ, მოდათაა შემოღებული. ყველა ასე ამბობს, მგოსანიც, პუბლიცისტიც, პოლიტიკური მოღვაწეც, ჟურნალისტიც, მდიდარიც, ღარიბიც და სხ. მაგრამ ერთი ვიკითხოთ: რომელი დრო არ არის ახლა გარდამავალი და რომელია გარდუვალი?

ბატონ-ყმობის დრო, ან უკეთ ვთქვათ, ფეოდალური ხანა თითქმის ერთს წრეზე იყო გაჩერებული, დაყრუებული და კარ-ჩაკეტილი, თვარა მას შემდეგ, რაც ყმები გაათავისუფლეს, ფეოდალური ურთიერთობაც მოისპო, ცხოვრებას ძირიან-ფესვიანა საფუძველი შეერყა, ძლიერად ამოძრავდა, ძველი ცხოვრების ზღუდეები გადალახა და მიდის წინ შეუჩერებლივ, შეუკავებლად. წინათ თუ უძრავი იყო ჩვენი ცხოვრება, ახლა იგი მუდმივ დუღილსა და ბრძოლაშია, რადგან თავისუფალმა ცხოვრებამ, გათავისუფლებულმა შრომამ წარმოშვა თავისუფალი აღებ-მიცემობა, ვაჭრობა, წარმოება და მრეწველობაც...

წოდებათა ძველი განსხვავების ადგილს იჭერს თანდათანი განსხვავება, სკდება უფსკრული სიმდიდრესა, დოვლათის და სიღარიბის, სისაწყლის შორის... ქონება, ფული და საწარმოვო იარაღები ამ ადუღებულს ცხოვრებაში ერთი ადამიანის ხელიდან მეორე ადამიანის ხელში გადადის, გროვდება და, ამიტომაც, დღეს ცხოვრება მეტად გართულდა, მეტად ძნელი შეიქნა იგი. და ასე მიდის და მიდის

*) იხ. „შინ. საქ.“ № 30.

ცხოვრება წინ... წინ, ერთი მ-ბრძანეთ, რომელი დრო არ არის აქ „გარდამავალი“?...

მე უკვე ვუჩვენე მკითხველს, ამ ბრძოლაში ვის მხარეზეც არის დუტუ მეგრელის სიმპატიები. იგი ერთიანად ღარიბის, დაჩაგრულის მხარეზე დგას და ამის მაგალითები კიდეც მოვიყვანე აქ.

დუტუ მეგრელს აქვს ერთი ლექსი „ბედ მწარეს“, სიდაც იგი კლასთა შორის ატეხილს ბრძოლაში შერიგების ნიადაგზე დგას.

„ ნუ, ნუ შენატრი ბედ მწარევ,
მას, ვისიც ბედი ტკბილია;
ვინც სევდა რაა არ იცის,
სიცოცხლით კმაყოფილია!
ცხოვრება მგზავრობა არის,
სიკვდილი მისი მიზანი;
გაჩენილია იმიტომ,
რომ მოკვდეს ადამიანი.
ყველა ამ წუთის სოფლისა,
დაუნდობელის შვილი ვართ
და, თუმცა სხვადასხვა გზებით,
ერთი მიზნისკენ მივდივართ:
მას ჭხვდა გზა სწორი და ფართო,
შენ—ვინ ვიწრო და ეკლიანი;
ის მიიმღერის სიცილით,
შენ მიჰკვნეს თვალცრემლიანი,
მაგრამ, დე, იგი მიჰქროდეს
თვის ძვირფას ეტლში მჯდომარე,—
ისიც იქ მივა, სადაც შენ,
ორივეს გელით სამარე!
და, როცა უკანასკნელს წამს
იგი საშინლად იწვალებს,
შენ, კმაყოფილი, რომ ჰკვდები,
დაჰხუჭავ სიამით თვალებს!
მაშ, ნუ შენატრი ბედ მწარევ,
მას, ვისიც ბედი ტკბილია;
ვინც სიკვდილს ნატვრით არ ელის,
სიცოცხლით კმაყოფილია?...“

აქ ჩვენებურ „დასელს“ ეძლევა ძალიან დიდი სულის წასატყუებელი შემთხვევა, რომ დუტუ მეგრელი, რომელიც ჩვენ ჩაგრულთა მოსარჩლეთ გამოვიყვანეთ, გამოაცხადოს რეაქციონერათ, და ექსპლოატატორთა მოსარჩლეთ. მაგრამ მწარეთ მოსტყუვდება ეგ კეთილი ვაჟბატონი.

საქმე ის არის, რომ თანამედროვე სწავლულთა შორის ორი აზრი ტრიალებს, რომელიც აქ უნდა მოკლედ მოვიხსენიოთ მაინც არსებობს, აგრე წოდებული, ორგანიული თეორია, რომელსაც ევროპის პირველი ხარისხოვანი ფილოსოფოსნი ევოლიუციონერნი უდგანან სათავეში, და რომელიც საზოგადოების განუყოფელობას აღიარებს და თითქოს ყურადღებასაც არ აქცევს კლასთა შორის დამკვიდრებულს ანტაგონიზმს, ინტერესთა წინააღმდეგობას. საზოგადობრივ ჯგუფებს, ერის ნაწილებს, კლასებს აერთებს ორგანიული სოციალური ცხოვრება—სარწმუნოება, ხასიათი, ზნე-ჩვეულებანი, ეროვნული კულტურა, ისტორიული ცხოვრება, პოლიტიკური საერთო მიზნები და იდეალები, ენა და სხ.

გარდა ამისა, ეს თეორია იმასაც ამბობს, რომ დღეს მარტო და მხოლოდ თვისი საკუთარი, ვიწრო ცხოვრება, ვიწრო ეგოისტური ანგარიშები არ აინტერესებენ ადამიანს. არა, თანამედროვე მოქალაქე უფრო დიადი, უფრო ვრცელი და საზოგადო იდეალებით და ტენდენციებით არის აღჭურვილი. იმისი არსება ურიცხვი ძაფებით არის გადაბმული მის გარეშე აზვირთებულს, ამღუღრებულს ცხოვრებასთან. ყოველი საზოგადობრივი და საზოგადო ინტერეს ამღძვრელი ამბავი გამოხმაურებას იწვევს ახლანდელი ადამიანის არსებაშიაც და, ამიტომაც, მარტო და მხოლოდ საკუთარი, ვიწრო პირადი ანგარიშები მისთვის არ არსებობსო. დღეინდელი ადამიანი ფიზიკურადაც და სულიერადაც მთელი ერის წარსული ცხოვრების ჯაჭვის უკანასკნელი რგოლია და ამიტომ იმისი ცხოვრებაც ამ მთელი ერის ბედზე არის დამოკიდებულიო...

არაო, ამბობენ სოციალისტები - რევოლიუციონერები და ანარხისტები, რომელნიც მუშების სოციალურ ერთობას კაპიტალისტებთან უარყოფენ, თუნდაც ეს მუშები და კაპიტალისტები ერთი ერის შვილნიც იყვნენ და მხოლოდ საშინელი ბრძოლის ქარ-ცეცხლმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლმა უნდა გაასწოროს ამათი საქმე ისტორიაშია. ანტაგონიზმი, ჯიბრი, წინააღმდეგობა გაყოფილ ძმებს შორისაც არსებობს (ჩვენი ხალხის ნათქვამია: თუ მტერი არა გყავს, ძმას გაეყავი და მტერი გაგიჩნდებაო), არა თუ სოციალურ კლასთა შორის და ამას არც დუტუ მეგრელი აფარებს ხელს. მაგრამ ქარ-ცეცხლი, სისხლის ღვრა და თავზარ დამცემი მოქალაქობრივი ომი, რომლისთვისაც მოწყრდებენ მაბრძოლ პროლეტარიატს არა მკითხე მუშათა ანეკუნები, რევოლიუციონერები, სრულიად მეტია...

ხომლელი.

შემდეგი იქნება.

წერილები რედაქციის მიმართ.

მამაო რედაქტორო!

„სახალხო გაზეთის № 375 დასტამბული იყო წერილი სტუდენტის ბესარიონისა ამ სათაურით: „ამერეთის საეპარქიო სამრეველო შოლების სიბჭოს საუფრადებოდ“ რომელი წერილიც მოდად მე შემესებოდა. წარსულ 19 აგვის სახალხო წერილი გაგზავნე ამავე გაზეთის რედაქციაში და ვსთხოვე მისი დასტამბა, მაგრამ დღემდე ეგრეთი თხოვნა ხსენებულმა რედაქციამ არ შემასრულა და ადგილ არც შემდეგში სურს შესრულება, ამისათვის, უცვლელად გიგზავნით რა, იმ სახალხო წერილის პირს, გთხოვთ დაუთმოთ ადგილი პატივცემულ „შინაური საქმეებს“ მახლობელ ნომერში და მით შეძლება მომცეთ სამართლის კეროგაკარგვებისა. აი წერილის პირიც:

ბატონო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ „სახალხო გაზეთის“ № 375 დასტამბულია წერილი სტუდენტის ბ. ბესარიონისა ამ სათაურით: „იმერეთის საეპარქიო სამრეველო შოლების სიბჭოს საუფრადებოდ“, რომელი წერილიც მოდად მე შემეზავა და რაგვან ხსენებული წერილი პირადი ანგარიშებითაა გამოწვეული, ამისათვის უმდაბლესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ სიბასუხო წერილს და მით მომცეთ შეძლება სამართლის ადგენისა.

სტუდენტი ბ. ბესარიონი მართალს ბრძანებს: „21 წელწადია მას აქვს, რაც სოფ. ჭილოვანში სამრეველო შოლა არსებობს“ დიახ, სწორეთ ამ შოლაში დაიწყო ანა-ბანას სწავლა ჩემთან ამ ბ. სტუდენტმა 1890 წლის მარტის თვეში, კარნა შემდგეგ კი ბ. ბესარიონი სასწორათ არ იცნობებოს. 1, ჭილოვანში კრება მრეველისა, რომელზედაც დაესწრნენ ადგილობითი ბდალიანი და შოლის მეთვალყურე მღვდელი, შარშან კი არ იყო, არამედ 1909 წლის მაისში იყო, რომელ კრებაზედაც ახალი შენობის ადგენებაში მონაწილეობის მიღებისაგან სრულიად უარი განაცხადეს ს. ჭინსოფელში მცხოვრებთ, რომლებმაც ბოდის ასე დასძინეს. „ჩვენ, ჩვენი ნებასურვილით რამდენიმე დასპარებას ადმოგიჩენთ, რადგანაც შოდასთვის ახალ შენობის ადშენებას დაიწყებთ ჭილოვანშიო, და ეგრეთი—დღეს შეძლებისა დაგვარად სასრულეშიც მოპეყვეთ. ჭილოვანელებმა კი ამ ყამად, სახალგაზდა შამშილობისა გამო, მარტო შოლასთვის ახალ შენობის საკადებელად აგებაზე სრულიად უარი განაცხადეს. ამაზე მეთვალყურე მღვდელმა ოქმი შეადგინა და ხალხს ხელი მოაწერია, რასაც შედეგად დროებითი შოლის დასურვა მოჰყვა... 2) ბ. ბესარიონი ბრძანებს: „მრეველი და მღვდელი ორ ბანაკად გახეთ, დიდმა უმრავლესობამ (65 კომლმა) ეკლესიასთან დასხდომებული სასკოლო ადგილი დასახელა, უმცირესობამ (10 კომლი) მღვდლის გ. ტეკემაძის მეთაურობით დასახელებულად ადგილს არ დთანხმდა... სოფლიდან დაშორებულს და თავის სახლის მახლობელ ადგილზე მეუთოთ და სხვა...

ბ. ბესარიონ! ადგილი, რომელზედაც ახალი შენობა შენდება, შოდასთვის შემოწირა ადგილობითმა მემამულემ ა.ზ. მელიტონ მალასხის ძე წერეთელმა. ეს ადგილი ე.-დ სამღვდელო დეონიდესაგან ცნობილია სოფლის საშუალო ადგილად და ეოყოლის მხრით წარჩინებულია გამოზომით კი ეგრე ათხსნა: (თუ ენებავსთ თქვენ ეგზომეთ შოდასა ახალი შენობიდან სოფლის ორივე მხრე.) ახალი შოდიდან ადმოსავლეთით სოფლის თავამდე 599 საჟენი და ორი არშინი, დასავლეთით—

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის ბიჯიერდეს 527 სკვნი და $1\frac{1}{2}$ არშინი, შეოდის ასალი შენობიდან ჩემ სასლიდეს 393 სკვნი და 1 არშინი, შეოდის ძველი შენობიდან ასლ შენობამდეს 99 სკვნი და 1 არშინი.—ამ ადგილზე ასალი შენობის მოშბრენია ზღდოვინის ეკლესიასა, მიდლ დამბმარენი ანრაინ ს. წინსოფლის მცხოფრენი, ის უმცირესობაც ზღდოვნელებისა, თქვენი შეოგრენეი, შეოდის სკვმე ამ ეკლეკა, მაგრამ თან-დასთან ბინაკს უერთდებ ან...

3) ბ. ბესარიონ! შეოდისა რა ბრალია, ა მე რას მეგრეთ ამის ეკამ, რომ თქვენი ძმა ტარასი ზღდოვნის შეოდეში სამსაწყვდეო რეკვამ, მასწავლებლად არ დანიშნა?! ეკუნეთის ფეფლეფზე ტრუ ფაქტებს რა ინტერესისთვის ითავსებინებთ?! აკი ამბავ ინტერესთ მიჩიგდეო ზღითოფის მოშრიგებედ მოსაშარდესთან, რომელიც 16 ამა აგვასტოს, შემდეკ თქვენი გრძელი სიტეკისა, წარმოებიდამ მოკისეოთ და ესლა ადგილობით მდგადმოთგარეთან კარებისრთ მაგრამ, ეკენ თქვენი წერადი, ადგსებული ჩემი დეკნიო, წინ დაბეგვალეთ...

4) მეოვლეურე მდგდელს ბეკლესანს, ზღდოვნელებისთვის არგეთარი ეკლა თავის ადგენიდობის (სოფლელთა ადგენილობის) სიტნობდად არ მოეცია და ესენ. თქვენი ფანტასიის შედეგიკ.

5) შეოდის ასაშენებლად ბაკლებული 230 მან. კი არ იყო, არამედ 195 მან. 75 კაპ. გასდადთ ბირადი ჩემი შეცდინობის ნაყოფი და ვინიდგან ამ ყამდ სალი დიდ შიმშილობის განიცდიდა, შეოდის ასალ შენობის კეთებას, ვერ შეუდგა, რისთვისაც, ის 195 მან. 75 კაპ. ეპარქიალური საბეჭდ ბანკიერეულებით, ზღითურის შეოდის ასალი შენობის დამთავრებას დასმარდა, კარნა მაგიერთ ეპარქიალურმა საბეჭდმ მე ზღდოვნის შეოდის ასალ შენობისთვის 300 მან. ადმოიქვა თვისი მოწერადობით 23 ოქტომბრიდამ 1909 წლისა № 884, მაშასადამე, აქაც ტეკედ ბრალს მდები სიტეკვებით: „ეს კარგმოკა (ე. ი. ფეფლის კალტეკა) მდ. გეორგიმ ანუნშიაც არ ჩაკდგ''...

ბ. ბესარიონ! ეკედი შენობაც შეოდის მე ჩემი სკეთარი ოფლით და დარბი ჯიბით მოგაწყვეკ და სოფლის მის მოწეობაში არგეთარი დასმარება არ ადმოუჩენია, მაშინ რადესაც, სოფელმა მოეცი ნასეგარი წელიწადი, შეოდის ადენენის და დასმარების დოდანში დამაკარგვა და ბიდლის კი სრულიად გრეშიც არგენ დამასმარა. ის შენობა ხომ ეკლესიისკენ მიდგეულ ეკლესია ეოდ და მაშასადამ შეოდის ადგილის სიშორე, ანუ ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

II.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ შეგვაძლებინოთ და გამოუშვათ ეს ჩვენი არა უმნიშვნელო წერილი საფსებით თქვენს პატივცემულ გაზეთ „შინაურ საქმეებში“ რადგანაც გაზეთ „კოლხიდაში“ ძლიერ შემოკლებულია, რაზედაც არა ვარ კმაყოფილი. 26-ს სეპტემბერს ს. თხმორში (რაჭის მაზრა) მოხდა სამღვდელო კანდიდატის არჩევა ყოველი კანონისა, სინოდისა და პატიოსნების წინააღმდეგ. კანდიდატის ანბიონ ბოკორიშვილის მამა მღ. გრიგოლ ბოკორიშვილი უსირცხვილოთ ყიდულობდა კენჭებს და თითეულ სოფელში ოთხას მანეთზე მეტი დაარიგა, მას როგორც ცნობილი სოფლის მწერლობაშიდ გამობრძმედილ ამხანაგს ხელს უწყობდა ადგილობრივი მოქალების მოადგილე, ადგილობრივი სახელმწიფო ტყეების მცველი ბ. თადეოზ ფოფხაძე, რომელსაც როგორც ტყის მცველს დიდი გავლენა აქვს ხალხში, ეს ბ. ასე ეუბნებოდა ხალხს ეს ფული ხომ ფულიაო, რაც მღვდელმა დაგირიგეთ, და ამას ვარდა აქეთ ის იქნება რაც მე ტყიდგან დაგეხმარებითო, ხოლო თუ ეს საქმე არ გაგვკეთებიათ და ბოკორიშვილი მღვდლად არ აგირჩევიათ სახელმწიფო ტყედან ერთ წნელსაც ნუ მოელითო, ასეთი შეკარით შეშინებულმა ხალხმა რა თქმა უნდა აირჩია ბ. ტყის მცველის სასურველი კანდიდატი, რომელსაც ვერც ერთი მისი მომავალი სამრევლოთაგანი ვერ იცნობს ვერც ზნეობრივი და ვერც გონებრივი მხრიდ; გამოერია შიგა და შიგ ხალხში კეთილგონიერი პირები, რომელთა მოსყიდვა ვერც მ. ბოკორიშვილის ფულებმა შეიძლეს და ვერც ბ. ტყის მცველის ბაქვებმა შეაშინეს. ერთმა ასეთმა პირთაგანმა თხოვნაც მიაოთვა მისს მეუფეს ამერეთის ეპისკოპოზს გიორგის და სთხოვა სასტიკი გამოძიების დანიშვნა. დარწმუნებული ვართ მისი მეუფეებაც ყურადღებას მიაქცევს ამ კანონიერ თხოვნას და სხვა გაზეთებიც დაბეჭდავენ ამ ჩვენ მცირე მაგრამ მნიშვნელოვან წერილს, რომელიც ახასიათებს დღევანდელს სამღვდელო კანდიდატების და მათი ამომრჩეველების ზნეობრივ პიროვნებას.

დანიელ კობახიძე.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი, იოსებ ლეონავა.

ბანცხადება.



სტამბა „ შრომა“

— დაბა ყვირილაში —

ყვირილის რკინის გზის ხიდის პირდაპირ

ეგებულობს ოთხმეტკაარ სასტამბო საქმ.

ბეჭდავს: ალანკებს, ანთებებს, განცხადებებს, წიგნებს, ბრიშიურებს და ყოველგვარ მოსაწვევ წერილებს: ქორწინებისას, ნათლისას, სამგლოვიაროსს და სხვ. აგრეთვე კონტორებისათვის სასწავლოშო წიგნებს და წიგნაკებს, ბილეტებს, ინდიკებს, სადარბაზო ბარათებს (ვიზ. კარტ.) და სხვ.

ეგრეთვე გვაქვს დამზადებული ყველა სასწავლებლ სათვის კლასის ჟურნალები და ბილეთები.

საქმეებს კასრულებთ სუფთად და თავის დროზე ძალიერ ფასებში.

რაშიდაც შეუძლიანთ დარწმუნდენ თვით პატივცემულნი ნაკაზჩიკები.

ადრესი: ეგრეთვე სტამბა „შრომა“.

Адресъ: Типогр. „Трудъ“ Квирылы

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს ყოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშევერს. ასრულებს დროზე, სუფთათ, საიმედოთ და სინდისიერათ.

ფასები ნახატების ღირსებაზე და ზომაზე დამოკიდებული და ყოველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევერს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავ მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო **ლეონიდეს** ნდობით და გვაქვს მათი მეუფებისაგან შესაფერი მოწმობა,

ადრესი: „შინაური საქმეების" რედაქცია ან ივანოვის ქუჩა № 14.

„შინაური საქმეები"-ს რედაქციაში იყიდება:

კლიროვის უწყებები ახალი ფორმისა და ძველი უწყებები (**ВѢДОМОСТИ**) წლიური საბლაღოჩინო ანგარიშებისათვის. ბლანკები „ძმობის" გამოცემაა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწყვილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Правленіе религіозно Просвѣтительнаго „братства".

Ольденбургская д. № 5.

სტამბა „შრომა" დაბა ყვირილაში. ● Типографія „Трудъ" въ м. Квирилы.